ეს მასალები მომზადდა, მუნიციპალური განვითარების ფონდის პროექტის ფარგლებში, როგორც „რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტუქტურის განვითარების მეორე პროექტის“ (SRMIDP) შემადგენელი ნაწილი.
„რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტუქტურის განვითარების მეორე პროექტი“-განხორციელდა შვეიცარიის განვითარების სააგენტოს და მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით.

სივრცითი დაგეგმვის, აქტივების მართვის და კაპიტალური საინვესტიციო საკითხებზე ტექნიკური მხარდაჭერა განახორციელა ნიდერლანდურმა კომპანიამ „Ecorys b.v.“, ქართულ კომპანიებთან ერთად „PMCG“ და „გეოგრაფიკი“, კონსორციუმის ფარგლებში.

საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში ჩატარდა ტრეინინგები მცირე ჯგუფებში (კლასტერებში) 2017 წლის მარტიდან 2019 წლის ივნისამდე პერიოდში.

კაპიტალური ინვესტიციების დაგეგმვის ჩატარებული ტრეინინგების ჩამონათვალი

(სწავლება 1-11)

კაპიტალური ინვესტიციების დაგეგმვის სასწავლო გეგმა მოცემულია ქვემოთ.

შესაბამისი ტრეინინგის ფაილი განსხვავებული ფორმატით არის წარმოდგენილი.
წინასიტყვაობა
მოდულარული ტრეინინგი: ზოგადი მიმოხილვა და ტრეინინგების სასწავლო გეგმა

1. ინსტრუმენტები კაპიტალური ინვესტიციების დაგეგმვისთვის
2. ინსტრუმენტები კაპიტალური ინვესტიციების დაგეგმვისთვის -გაგრძელება
3. კაპიტალური ინვესტიციების დაგეგმვის პროცედურა
4. პროექტის კონცეფციის ბარათი – პრაქტიკული სავარჯიშო
5. პროექტის კონცეფციის ბარათი – პრაქტიკული სავარჯიშო -გაგრძელება
6. **პროექტის კონცეფციის ბარათების შეფასება – პრაქტიკული სავარჯიშო**
7. საპროექტო წინადადებები
8. საპროექტო წინადადების შეფასება. ვარიანტების ანალიზი. როგორ შევადაროთ პროექტის განხორციელების გზები.
9. საპროექტო წინადადების შეფასება. ვარიანტების ანალიზი. როგორ შევადაროთ პროექტის განხორციელების სხვადასხვა გზები. საპროექტო წინადადებების შეფასება. დისკონტირება და პროექტის შესრულების ინდიკატორები.
10. საპროექტო წინადადებების შეფასება. ხარჯი-სარგებლის ანალიზი
11. კაპიტალური ინვესტიციების დაგეგმვის პროექტების შერჩევა

** პრეზენტაციების მასალების გარდა, ხელმისაწვდომია კაპიტალური ინვესტიციების დაგეგმვის სახელმძღვანელო*

კაპიტალური ინვესტიციების დაგეგმვა

პროექტის კონცეფციის ბარათების შეფასება – პრაქტიკული სავარჯიშო

რაფალ შპორკო
ანნა დროზდოვსკა
რატი გაბრიჩიძე

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობების ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება სივრცითი დაგეგმვის, აქტივების მართვისა და კაპიტალური საინვესტიციო გეგმების შემუშავების კუთხით

CIP პროცედურა - სად ვიმყოფებით?



რატომ გვჭირდება შეფასება?



საწყისი შეფასების კრიტერიუმები

I. საპროექტო იდეა შედის ***ადგილობრივი თვითმმართველობის პასუხისმგებლობაში***.

II. საპროექტო იდეა არის ***საიმედო*** და ***პასუხობს საზოგადოებრივ მოთხოვნას***.

III. სხვადასხვა აპლიკანტის მიერ განცხადებულ საპროექტო იდეებს შორის არ არის ***ზედდებები***.

IV. იდეა ერთი შეხედვით განხორციელებადია ***ტექნიკური, ფინანსური, გარემოსდაცვითი*** და ***იურიდიული*** კუთხით.

აქ წარმოდგენილია სტანდარტული კრიტერიუმები. პრაქტიკაში, თითოეულ მუნიციპალიტეტს შეუძლია შეიმუშაოს საკუთარი კრიტერიუმები და შესაბამისად მოახდინოს შეფასება.

II. საპროექტო იდეა არის საიმედო და პასუხობს საზოგადოებრივ მოთხოვნას.

1. როგორი არის პროექტის სოციალური მხარდაჭერა?

- ✓ რამდენი მაცხოვრებელი უჭერს მხარს პროექტს? როგორია მათი პრიორიტეტები?
- ✓ სად „მდებარეობს“ სოციალური მხარდაჭერა (ქალაქის რა ნაწილში, რომელი სოციალური ჯგუფი უჭერს მხარს)? რამდენი მაცხოვრებელი უჭერს პროექტს მხარს?
- ✓ რამდენად დიდია ცოდნა პროექტის შესახებ, რა ცოდნა გვაქვს (შედეგების შესახებ ან პოტენციური სირთულეების შესახებ)?
- ✓ არსებობს თუ არა რაიმე დისკუსია ადგილობრივ გაზეთებში ან სოციალურ მედიაში? ვინ არის ამ სტატიების ავტორი?
- ✓ აპირებს თუ არა მოსახლეობა პროექტში მონაწილეობას (შრომის თვალსაზრისით)?

2. არსებობს თუ არა სოციალური უკმაყოფილება პროექტთან დაკავშირებით?

- ✓ რამდენი მაცხოვრებელი აკრიტიკებს პროექტს?
- ✓ არის თუ არა მოსახლეობა მზად გადასახადების დაწესებისთვის პროექტის დასრულების შემდეგ?
- ✓ არსებობს თუ არა ღია პროტესტი საზოგადოებაში? რა არის ამ პროტესტის მიზეზი? რომელი სოციალურ ჯგუფს გააჩნია პროტესტი?

3. როგორია პროექტის მოსალოდნელი შედეგები?

- ✓ რა სარგებელი მოაქვს პროექტის განხორციელებას მთლიანად საზოგადოებისთვის/მუნიციპალიტეტისთვის? – მაგ. პროექტი არ არის პოპულარული გარკვეულ სოციალურ ჯგუფებს შორის (როგორც ნაგავსაყრელი ან კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობა)

სოციალური მხარდაჭერის შეფასების საფუძველი

- მხარდაჭერა / მიზანი გამოიხატება შემდეგ წყაროებზე დაყრდნობით:
  - კვლევა / კითხვარი
  - მერიისთვის გაგზავნილი წერილები
  - საჯარო შეხვედრები
  - მედია
  - სხვა წყაროები
- ეს ინფორმაცია გვიჩვენებს, რამდენად სანდოა ის მხარდაჭერა, რომელიც გათვალისწინებულია შეფასებისას

III. საპროექტო იდეებს შორის არ არის ზედდებები.

1. სანამ საპროექტო იდეა გარდაიქმნება საპროექტო წინადადებად, შემფასებლებმა უნდა შეამოწმონ განსხვავებული აპლიკანტების მიერ დაფიქსირებულ იდეებს შორის ხომ არ არის ზედდება. შესაძლებელია, რომ იგივე პრობლემა სხვა განმცხადებელის მიერ უკვე იყოს მითითებული სხვა (თავის) საპროექტო იდეაში.
2. ასევე შესაძლებელია რომ პროექტის მასშტაბს / ამოცანებს დაემატოს გარკვეული დამატებითი ქმედებები ეფექტურობის გასაზრდელად
3. მაგალითები:
   - ახლომდებარე ადგილას სათამაშო მოედნის განვითარება და არსებულის რეაბილიტაცია
   - გზისა და წყალმომარაგების სისტემის აშენება
   - შენობაში სახურავისა და გათბობის სისტემის შეცვლა
   - ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა და გზების მშენებლობა

IV. პროექტის მიზანშეწონილობა / განხორციელებადობა (1)

მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე არ არის საჭირო ყოვლისმომცველი კვლევის ჩატარება, **გამოცდილ პროექტის შემფასებლებს უნდა შეეძლოთ მოახდინონ იდენტიფიცირება და უარყონ პროექტები, რომლებიც აშკარა მიზეზების გამო არ არის მიზანშეწონილი / განხორციელებადი**

პროექტის საერთო შეფასება შემდეგი ასპექტების მიხედვით:

1. **ტექნიკური**
   - ხშირად ეს არის იმ მიწასთან დაკავშირებით რომელზეც ინვესტიციის განხორციელება იგეგმება და განიხილება იმპლემენტაციის ფაზაში არსებული პოტენციური რისკები
   - დამატებითი ინფრასტრუქტურა, რომელიც უნდა აშენდეს მოსალოდნელი შედეგების მისაღწევად
   - სამშენებლო ტექნოლოგია, რომელიც ითვალისწინებს სამომავლო მოვლა პატრონობის ხარჯებს
2. **ფინანსური**
   - პროექტის ღირებულება შეიძლება დაფაროს არსებული დაფინანსების წყაროების მიხედვით / ხარჯები არ არის ძალიან მაღალი, მოვლა პატრონობის ხარჯები მისაღებია
3. **გარემოსდაცვითი**
   - პროექტი ითვალისწინებს ადგილისა და ბუნებრივი პირობების ინდივიდუალურ თავისებურებებს

IV. პროექტის მიზანშეწონილობა / განხორციელებადობა (2)

პროექტის საერთო შეფასება შემდეგი ასპექტების მიხედვით:

4. იურიდიული

- არ არსებობს იურიდიული დაბრკოლებები, მიწის ფლობასთან, ადგილობრივ სივრცით გეგმასთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით
- კანონიდან გამომდინარე ვალდებულებაა, რომ პროექტი უნდა განხორციელდეს
- აუცილებელი შეთანხმებები "ქსელის მენეჯერებთან / მმართველებთან", რკინიგზასთან და ა.შ.

5. არსებობს სხვა ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს პროექტის მიზანშეწონილობაზე / განხორციელებადობაზე (მაგალითად, ჯარ ვილანოვსკი გდანსკში)



- Source: www. gdansk.pl and www.dziennikbaltycki.pl

წინასწარი შერჩევის პროცესი



საწყისი კრიტერიუმები

პროექტის დასაბუთების დოკუმენტის თარგი (მაგალითი)

1. პროექტის დასახელება, პასუხისმგებლობები
2. პროექტი <u>შედის / არ შედის</u> მუნიციპალიტეტის პასუხისმგებლობაში
3. არსებობს საზოგადოების <u>მოთხოვნა</u> / არსებობს <u>პროტესტი</u> მოსახლეობის მხრიდან (რამდენად მძაფრია, რა მიზეზებიდან გამომდინარე, რა საფუძველზე ხდება განსჯა)
4. პროექტის მიზნები და მასშტაბის <u>საბოლოო დადგენა უნდა მოხდეს</u>... <u>შემზღუდველი ფაქტორებია</u>.....
5. იდეა <u>არის / არ არის მიზანშეწონილი / განხორციელებადი</u>, ძირითადი მიზეზებია: ....., უნდა განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები
6. პროექტის მოსალოდნელი შედეგებია:...., <u>ისინი აკმაყოფილებენ / ვერ აკმაყოფილებენ</u> პოტენციურ მიზნებს ან სხვა სოციალურ პრიორიტეტებს
7. საბოლოო რეკომენდაცია გახლავთ .....

პროექტის სკრინინგი / წინასწარი შერჩევა - პროცესი, რომლის დროსაც წინასწარი შეფასებები და პროექტების წინასწარი შერჩევა ხდება, ასევე ხდება <u>პროექტის იდეის რაციონალურობის ტესტირება / გამოცდა</u>.

გადაწყვეტილების მიღების პროცესი ხორციელდება პროექტის კონცეფციის ბარათზე დაყრდნობით (PCN)

შემდეგი ნაბიჯი

საპროექტო წინადადება

საპროექტო წინადადება

საპროექტო წინადადება

მაგალითი - პროექტის დასაბუთება (I.1)

1. პროექტის დასახელება - **ვაშლოვანის ქუჩის რეაბილიტაციის პროექტი**, პასუხისმგებელი უწყება - **ეკონომიკური განვითარების დეპარტამენტი.**

2. პროექტი **შედის** მუნიციპალიტეტის პასუხისმგებლობაში.

3. **ძლიერი მოთხოვნაა** საზოგადოების მხრიდან - ფეხით მოსიარულეების და ადგილობრივი მაღაზიებისთვის აქტუალურია, რადგან ხალხი ქუჩაში კომფორტულად ვერ მოძრაობს - ფეხით და მანქანით, გადაწყვეტილების საფუძველია საზოგადოებრივი აზრი. ადგილობრივ მოსახლეობასთან გასაუბრების შედეგად ჩანს რომ ეს საკითხი აქტუალურია (გარკვეული მონაცემებით შეგვიძლია გავამყაროთ / დავადასტუროთ).

4. პროექტის ფარგლებში (მიზნებში) **სრულად უნდა იყოს ასახული / უნდა ავსახოთ** სხვა ინფრასტრუქტურა, რომელიც დაგეგმილია გზის ქვეშ. არსებობს გარკვეული რისკი იმ ინფრასტრუქტურის უცნობი მდგომარეობის შესახებ, რომელიც გზის ქვეშ არის მოთავსებული. რეკომენდირებულია დაველოდოთ სასმელი წყლის რეაბილიტაციის პროექტის დასრულებას (ის ჯერ კიდევ მშენებარეა)

5. იდეა განხორციელებადია, ძირითადი მიზეზებია: ეს არის არსებული გზა, ამიტომ მუნიციპალიტეტი არის მიწის მესაკუთრე, მიწის არ გააჩნია არანაერი რისკი, მაგრამ ტექნოლოგიების და პრიორიტეტების შერჩევისას უნდა იყოს გათვალისწინებული, რომ გრძელვადიანი რეაბილიტაციის პროცესი გამოიწვევს მაღაზიების ზარალს.

6. პროექტის მოსალოდნელი შედეგები სიღრმისეულია, რადგან მთელი საზოგადოებისთვის მოსალოდნელია სარგებელი, შესაბამისად **აღნიშნულ პროექტს გააჩნია მაღალი სოციალური პრიორიტეტი** სხვა პროექტებთან შედარებით.

მაგალითი - პროექტის დასაბუთება (I.2)

პროექტის დასახელება - **ვაშლოვანის ქუჩის რეაბილიტაციის პროექტი**, პასუხისმგებელი უწყება - **ეკონომიკური განვითარების დეპარტამენტი.**

<u>საბოლოო რეკომენდაციაა საპროექტო წინადადების მომზადება შემდეგი სპეციფიური საკითხების გათვალისწინებით:</u>

- აუცილებელია გზის ქვეშ არსებული ინფრასტრუქტურის ინვენტარიზაცია და შესაძლებლობის შემთხვევაში მისი მდგომარეობის შეფასება
- უნდა მოხდეს აღნიშნული გზის ქვეშა ინფრასტრუქტურის მფლობელებთან შეთანხმება
- შესაძლებელია საჭირო გახდეს ბიუჯეტის თანხების რეზერვირება პროექტის დამატებითი ხარჯების დასაფინანსებლად, რომელი ხარჯიც შეიძლება წარმოიშვას ზემოხსენებული მიწის ქვეშა ინფრასტრუქტურიდან გამომდინარე
- გზის ზედაპირის მოპირკეთების ტექნოლოგია უნდა იყოს ხარჯ-ეფექტური, რაც იმას ნიშნავს, რომ საინვესტიციო ხარჯები არ უნდა იყოს ძალიან მაღალი, რათა არ გართულდეს პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღება
- უნდა გადამოწმდეს, იარსებებს თუ არა მომავალში სხვა მიწისქვეშა ინფრასტრუქტურის აუცილებლობა და არსებობის შემთხვევაში უნდა მოხდეს პროექტში გათვალისწინება (მაგ. ტექნიკური გვირაბის მშენებლობა)
- განხორციელების გრაფიკი უნდა ითვალისწინებდეს ადგილობრივი მეწარმეებისა და მოსახლეობის ინდივიდუალურ საჭიროებებს. აღნიშნული გეგმა-გრაფიკი უნდა იყოს მაქსიმალურად დეტალური (მათ შორის უნდა მოიცავდეს მოსამზადებელ სამუშაოებს)
- აღნიშნული პროექტს გააჩნია მაღალი პრიორიტეტი

მაგალითი - პროექტის დასაბუთება (II.1)

1. პროექტის დასახელება - **საბავშვო ბაღის მშენებლობა სოფელ ვაშლოვანში**, , პასუხისმგებელი უწყება - **ეკონომიკური განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი.**

2. პროექტი **შედის** მუნიციპალიტეტის პასუხისმგებლობაში.

3. **მოთხოვნა არსებობს** საზოგადოების მხრიდან – სოფლის მოსახლეობა, რომელთაც ყავთ მცირეწლოვანი ბავშვები, გადაწყვეტილების საფუძველია სოფლის მოსახლეობის მოსაზრებები და მონაცემები დედების დასაქმების შესახებ (სასურველია დამატებითი მონაცემებით დადასტურდება).

4. პროექტის **მიზნებში / მასშტაბში უნდა იქნეს გათვალისწინებული სხვა ინფრასტრუქტურა**, რომელიც აუცილებელია საბავშვო ბაღისათვის (გზები, წყალი და კანალიზაციის ქსელი, ელექტროენერგია და ა.შ., რაც თავის მხრივ დამოკიდებულია ადგილმდებარეობაზე).

5. **ძნელია ვივარაუდოთ განხორციელებადია იდეა თუ არა**. მთავარ მიზეზს წარმოადგენს ის, რომ პროექტის ადგილმდებარეობა და ტექნიკური დაშვებები ჯერ ჯიდევ დადგენის / განვითარების ეტაპზეა. არ არსებობს პროექტის ეფექტურობის ანალიზი სადაც აღნიშნული ვარიანტი შედარებული იქნებოდა ალტერნატიულ გადაწყვეტას (რომელიც ბავშვების სხვა სოფელში ტრანსპორტირებას გულისხმობს).

6. პროექტის მოსალოდნელი შედეგები შემოიფარგლება ერთი სოფლის მოსახლეობის ჯგუფით. ამიტომ **უნდა მოხდეს ჩვენება / დადასტურება იმისა რომ მუნიციპალიტეტის სხვა პრობლემებზე (პროექტებზე) მეტად პრიორიტეტულია აღნიშნული პროექტი.**

მაგალითი - პროექტის დასაბუთება (II.2)

პროექტის დასახელება - **საბავშვო ბაღის მშენებლობა სოფელ ვაშლოვანში, ,**
პასუხისმგებელი უწყება - **ეკონომიკური განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი.**

<u>საბოლოო რეკომენდაციაა პროექტის კონცეფციის ბარათის განხილვა შემდეგი სპეციფიური საკითხების გათვალისწინებით:</u>

- საჭიროა საზოგადოების მხარდაჭერის მეტად გამოკვლევა და მუნიციპალიტეტის ყველა სხვა პრიორიტეტებთან შედარება, მუნიციპალიტეტის დემოგრაფიული ტენდენციების გათვალისწინება
- უნდა იქნეს შემოთავაზებული / შერჩეული საბავშვო ბაღის კონკრეტული მდებარეობა - კონკრეტული ნაკვეთი სადაც შენობა შეიძლება განთავსდეს
- ახალი ბაღის აშენების ეფექტურობის ანალიზი უნდა მოხდეს სხვა ალტერნატივებთან მიმართებაში (როგორებიც არის: სკოლამდელი აღსაზრდელების სხვა არსებულ ბაღებში ტრანსპორტირება და ბაღისთვის შენობის დაქირავება)
- საბავშვო ბაღის გარშემო დამატებითი ინფრასტრუქტურის აუცილებლობა (გზები, წყალი და კანალიზაციის ქსელი, ელექტროენერგია და ა.შ.)
- აღნიშნული პროექტს ამ მომენტისთვის დაბალი პრიორიტეტი გააჩნია

შესასრულებელი სამუშაო

არსებული განცხადებული პროექტების სიაზე დაყრდნობით გთხოვთ განახორციელოთ წინასწარი შეფასება და მოამზადოთ წინა შეხვედრებზე შემუშავებული პროექტების (მცირე) დასაბუთება - ელექტრონული ფორმით.

გაუზიარეთ შედეგები კოლეგებს.

გთხოვთ შეინახოთ პროექტების დასაბუთების ელექტრონული ვერსიები.

ტრენინგ მასალა მონაწილეთათვის – შესაფასებელი და სამომავლო მომზადებისთვის რეკომენდირებული პროექტების სია.

გმადლობთ ყურადღებისთვის!